მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების და თანმდევი მომსახურების შესყიდვის

ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია

წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია 2022 წლის 8 თებერვლის საქართველოს მთავრობის №62 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ საფუძველზე

ქ. თბილისი
2023

სატენდერო დოკუმენტაცია

1. <u>შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - **183 849 690** ლარი დღგ-ს გარეშე.</u>

2. <u>შესყიდვის ობიექტი</u>**:** **დანართი №1**

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებელი	.წარმოშობის ქვეყანა / მწარმოებელი / მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რაოდენობა/ განზომილება	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე	საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე	მიწოდების ვადა
1	**მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავალი -** ელმავლის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები დანართი N9-ის შესაბამისად		10 (ცალი)			

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებელი	შემკეთებელი საწარმო	რაოდენობა/ განზომილება	ერთი თვის მომსახურების ღირებულება 1 (ერთი) ცალ ელმავალზე	30 თვის მომსახურების ღირებულება 1 (ერთი) ცალ ელმავალზე	30 თვის მომსახურების ღირებულება 10 (ათი) ცალ ელმავალზე	მომსახურების გაწევის ვადა
2	**მუდმივი დენის მაგისტრალური 10 ცალი ელმავლის ტექნიკური მომსახურება და რემონტი** (შემოთავაზებული ელმავლების ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით)		30 თვე				

შენიშვნა:

1. ~~1.~~ შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი და არ უნდა იყოს ნამყოფი ექპლუატაციაში, აშენებული არაუადრეს 2023 წელს.
2. შემოთავაზებულმა საქონელმა უნდა უზრუნველყოს, თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის უბანზე არანაკლებ 1380 ტ მატარებლის გადაყვანა ერთი ელმავლით. ასევე საქართველოს 1520 მმ ლიანდაგის, 3 კვ ძაბვის მუდმივი დენით ელექტროფიცირებულ რკინიგზებზე სატვირთო მატარებლების გადაყვანა.
3. ელმავლების სრულ ტექნიკურ მომსახურეობას და რემონტს, მათ შორის ელმავლის ცვეთად ნაწილებზე, ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილების უზრუნველყოფით 30 კალენდარული თვის განმავლობაში განახორციელებს მომწოდებელი მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციების სრული დაცვით სს საქართველოს რკინიგზის სარემონტო ბაზებზე (დეპოებში).
4. ნებისმიერ პრეტენდენტს უფლება აქვს სარემონტო ბაზები (დეპოები) დაათვალიეროს სს «საქართველოს რკინიგზასთან წინასწარი შეთანხმებით .
5. ელმავლების სარემონტოდ საჭირო პერსონალს, დანადგარებისა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფას განახორციელებს მომწოდებელი.
6. შემოთავაზებული ელმავალი უნდა აკმაყოფილებდეს დანართ N9 -ში მოცემულ ტექნიკურ მოთხოვნებს.
7. ელმავლის ტექნიკური მზადყოფნის წლიური კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 0,95; სილის ფრაქცია უნდა იყოს 1,8-2,2 მმ.
8. ელმავალის ბუსტერული სექციის ჩაბმის შემთხვევაში ელმავლების სექციების გადაბმა/ჩახსნა შესაძლებელი უნდა იყოს დეპოს პირობებში და არ უნდა სჭირდებოდეს რაიმე დამატებითი სამუშაოების გატარება (პროგრამული ცვლილება, დამატებითი სადენების ან დეტალების შეძენა/დამონტაჟება);
9. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს მწარმოებლის მიერ გაცემული პასპორტი (დედანი), რომელიც უნდა მოიცავდეს ელექტრული მანქანების, კომპრესორების, ძარის, ურიკის, წყვილთვალების, უსაფრთხოების სისტემების, რადიოკავშირის და სხვა ცალკეულ პასპორტებს (დედნებს) და ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს (დედანი);
10. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს მწარმოებელი ქარხნის მიერ დამოწმებული შემოთავაზებული პროდუქციის ტექნიკური პირობები (დედანი ან მწარმოებლის მიერ დამოწმებული (ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი);

11. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს შემოთავაზებული ელმავლის ტექნიკური პირობების ტექნიკურ მოთხოვნებთან (დანართი N9სთან) შესაბამისობის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ და რომელსაც უნდა გააჩნდეს ელმავლის ტექნიკური მონაცემების, ლაბორატორიული გამოცდების/კვლევების უფლებამოსილება.
12. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ტექნიკური მოთხოვნების (დანართი N9) 14.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
13. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ელმავლის მაკომპლექტებელი დეტალების ნახაზების კატალოგის ალბომი ბეჭდვითი და ელექტრონული ფორმით.
14. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ელმავლის ელექტრული და პნევმატიკური სქემების ნახაზები ბეჭდვითი და ელექტრონული ფორმით.
15. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ტექნიკური მომსახურების და გეგმიური რემონტების ტექნოლოგიური რუქები ბეჭდვითი და ელექტრონული ფორმით.
16. მიწოდებისას საქონელს თან უნდა ახლდეს ელმავლის საქარხნო რემონტების (საშუალო და კაპიტალური რემონტები) ინსტრუქციები ბეჭდვითი და ელექტრონული ფორმით.
17. მიმწოდებელმა ელმავლის შემდგომი ექსპლუატაციისთვის, ტექნიკური მომსახურეობისა და რემონტის ჩასატარებლად უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის პერსონალის სწავლება - მეთოდური, თეორიული და პრაქტიკული ინსტრუქტაჟი საკუთარი ხარჯებით. სწავლება უნდა ჩატარდეს ქართულ ენაზე. სწავლების დასრულების შემდეგ უნდა გაიცეს შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატი.
18. შემოთავაზებული საქონლის კომპლექტაციაში უნდა შედიოდეს:
    - მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავალი;
    - ტექნიკური მოთხოვნების (დანართი N9) 14.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და მასალები;
    - მწარმოებელი ქარხნის მიერ მოწოდებული ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად: ჯგუფური სათადარიგო ნაწილები, ინსტრუმენტები, სახარჯი მასალა.
    - თითოეულ ელმავალზე 1 ცალი სათადარიგო დენმიმღები და 2 ცალი დენმიმღების თხილამური
19. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გადასცეს ჯამში 2 ცალი უსაფრთხოების სისტემის გასაშიფრი მოწყობილობა.

<u>საქონლის მიღება-ჩაბარების პროცედურა:</u>

1. თითოეულ მოწოდებული ელმავალი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განთავსდება შემსყიდველის მიერ წინასწარ გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომლის მოვლა შენახვაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მომწოდებელს.
2. თითოეულ ელმავალზე მიღება - ჩაბარების აქტი მხარეებს შორის გაფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის 4.3 პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე , მესამე პუნქტის შესაბამისად საცდელი გარბენის ჩატარების შემდეგ. საცდელი გარბენი უნდა განხორციელდეს თბილისი - მარაბდა - ახალქალქის უბანზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად. არანაკლებ 1380 ტ მატარებლის გადაადგილებით თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის უბანზე პირველად#საცდელ#გარბენს უზრუნველყოს სს საქართველოს რკინიგზა საკუთარი#ხარჯებით. გამოცდის პერიოდში სალოკომოტივო ბრიგადით უზრუნველყოფა ეკისრება მიმწოდებელს. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის ბრალეულობით საჭირო გახდება დამატებითი საცდელი გარბენ(ებ)ი, ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს;
3. ელმავლების საცდელი გარბენის ჩატარებისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული გამოცდების ჩასატარებლად შესაბამისი აკრედიტირებული ორგანოს მოწვევა/ჩართულობა, რომელმაც თავის მხრივ უნდა დაადგინოს ელმავლის შესაბამისობა ტექნიკურ მოთხოვნებთან და ტექნიკურ პირობებთან. შესყიდვის ობიექტის გამოყენების ეფექტურობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიზნით ასევე უნდა განხორციელდეს დანართი N9ის მეორე მუხლით და 3.3.1 პუნქტით განსაზღვრული გაანგარიშებების წარმოდგენა. ყოველივე ზემოაღნიშნულზე აკრედიტებულმა ორგანომ უნდა გასცეს შესაბამისი დასკვნა და უზრუნველყოს თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის უბანზე მოძრაობის ინსტრუქციის შედგენა ახალი ლოკომოტივის გათვალისწინებით. აკრედიტირებულ ორგანოს უნდა გააჩნდეს:

    ა) სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ელმავლის ტექნიკური მონაცემების, ლაბორატორიული გამოცდების/კვლევების ჩატარების უფლებამოსილება).

    ბ) ინსტრუქციის შედგენის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - არანაკლებ ერთი სარკინიგზო ადმინისტრაციის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი, რის მიხედვითაც უნდა დასტურდებოდეს აკრედიტირებული ორგანოს მიერ შემუშავებული ინსტრუქციით არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ოპერირების ფაქტი.
4. თითოეულ ელმავალზე მიღება - ჩაბარების აქტი გაფორმდება საცდელი გარბენისა და აკრედიტირებული ორგანოს დადებითი დასკვნის შემდგომ.
5. თითოეული ელმავლის მოწოდების თარიღად ჩაითვლება სატენდერო დოკუმენტაციის 4.3 პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.
6. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და უშუალოდ დაესწროს ელმავლების აშენების პროცესს საკუთარი ხარჯებით.

<u>მომსახურეობის გაწევის პირობები</u>

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ელმავლების სრული ტექნიკური მომსახურეობა და რემონტი, ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილების უზრუნველყოფით, 30 კალენდარული თვის განმავლობაში ქარხანა დამამზადებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციების სრული დაცვით. აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება თითოეულ ელმავალზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.
2. ელმავლების მომსახურეობისა და რემონტისთვის საჭირო პერსონალის, დანადგარებისა და ხელსაწყოებით მობილიზებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.
3. ელმავლების მომსახურეობის გაწევის პერიოდში 30 კალენდარული თვის განმავლობაში (გეგმიური და არაგეგმიური რემონტები) ელმავლის ტექნიკურ მზად ყოფნაზე პასუხისგებლობა ეკისრება მიმწოდებელს;
4. მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს სს საქართველოს რკინიგზის სარემონტო ბაზები (დეპოები);
5. მიმწოდებელი ტექნიკურ მომსახურეობასა და გეგმიურ რემონტებს უზრუნველყოფს ტექნიკური რუქების და მათში გათვალისწინებული დროის შესაბამისად, ხოლო არაგეგმიურ რემონტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელმავლის მიწერის დეპოში შესვლიდან არაუმეტეს 240 საათის განმავლობაში.
6. მიმწოდებელმა ყოველი კვარტლის ბოლოს, არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ლოკომოტივებზე გახარჯული მარაგების და შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალის/ანგარიშის შემსყიდველისთვის მიწოდება.
7. მიმწოდებლის მიერ ტექნიკური მომსახურების და რემონტის (გეგმიური და არაგეგმიური) დროის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკით დამტკიცებული ოდენობით (ყველა დაწყებულ ნახევარ საათზე 400 ლარი)

<u>საგარანტიო პირობები:</u>

1. თითოეული ელმავლის საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან და განისაზღვრება ტექნიკური მოთხოვნების (დანართიN9) მე-15 პუნქტის შესაბამისად;
2. რემონტისა და ექსპლუატაციის ტექნიკურ დოკუმენტაციაში არსებული ექსპლუატაციის ყველა ნორმების დაცვის შემთხვევაში, ელმავლის ცალკეული კვანძების, დეტალების და აგრეგატების საგარანტიო ვადაში დაზიანებისას, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ძალებითა და ხარჯით აღმოფხვრას დაზიანება შემსყიდველის ტერიტორიაზე, ან საჭიროების შემთხვევაში დაზიანებების აღმოსაფხვრელად ვალდებულია ელმავლის, ელმავლის კვანძების, აგრეგატებისა და მოწყობილობების ტრანსპორტირება განახორციელოს თავის შემკეთებელ ქარხანაში და უკან საკუთარი ხარჯებით;
3. იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი ელმავლის, ელმავლის კვანძების, აგრეგატებისა და მოწყობილობების შეკეთებას განახორციელებს საქართველოს გარეთ, გადაცემამდე მან უნდა წარმოადგინოს (თითოეულ ერთეულზე) უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზინდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია რომელ(ებ)იც უნდა იქნეს დამოწმებული საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. თითოეული ელმავლის, ელმავლის კვანძების, აგრეგატებისა და მოწყობილობების საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვება აუდიტის დასკვნის საფუძველზე. გარანტი(ებ)ის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს კონკრეტული მომსახურების გაწევის საბოლოო შესრულების ვადას;
4. ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების 30 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადის ფარგლებში რაიმე დეფექტის/დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, (მათ შორის მიმწოდებლის მიზეზით ელმავალზე უხარისხო რემონტის გამო), შემსყიდველი 3 სამუშაო დღის ვადაში დეფექტის/დაზიანების აღმოჩენიდან, ან ელმავლის გზაში მსვლელობისას დაზიანების გამო დეპოში შემოსვლის შემდეგ, ვალდებულია გამოიძახოს მიმწოდებლის წარმომადგენელი დეფექტის/დაზიანების წარმოქმნის მიზეზის განსაზღვრისა და სარეკლამაციო აქტის შედგენაში მონაწილეობისათვის;
5. შეტყობინების მიღების შემდგომ მიმწოდებელი არაუმეტეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში აგზავნის თავის წარმომადგენელს დეპოში ან აცხადებს თანხმობას თავისი წარმომადგენლის გარეშე ცალმხრივად რეკლამაციის აქტის შედგენის შესახებ;
6. თუ შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებლი არ მოავლენს თავის წარმომადგენელს, შემსყიდველს უფლება აქვს რეკლამაციის აქტი შეადგინოს ცალმხრივად, მიმწოდებლის წარმომადგენლის გარეშე;
7. დეფექტური კვანძების, აგრეგატების, დეტალების და მოწყობილობების მოხსნა და დაშლა არ უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის წარმომადგენლის ჩამოსვლამდე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა, რომელთა შეცვლის უფლება აქვს შემსყიდველს (დეპოს), ისე, რომ არ დაელოდოს მიმწოდებლის წარმომადგენლის ჩამოსვლას, კერძოდ: წევის ძრავის ბლოკი, დამხმარე ელექტრული მანქანები, კომპრესორები;

8. მოხსნილი კვანძები, აგრეგატები და აპარატები არ უნდა დაიშალოს მიმწოდებლის წარმომადგენლის დადგენილ ვადაში ჩამოსვლამდე, გარდა შემთხვევებისა, როცა საჭიროა კვანძების, აგრეგატების და აპარატების დაშლა გადასარბენებზე ან სადგურში/დეპოში ელმავლის ტრანსპორტირებისათვის;
9. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეთანხმდებიან დეფექტის მიზეზის ბრალეულობის დადგენაზე, მიმწოდებლის წარმომადგენელი ვალდებულია მოაწეროს ხელი რეკლამაციის აქტს თავისი განსაკუთრებული მოსაზრების შესახებ ჩანაწერის გაკეთებით;
10. განსაკუთრებული მოსაზრება უნდა ჩაიწეროს ცალკე ფურცელზე და დანართის სახით დაერთოს რეკლამაციის აქტის ყველა ეგზემპლარს, რომელშიც კეთდება აღნიშვნა განსაკუთრებული მოსაზრების არსებობის თაობაზე. ამ შემთხვევაში შემსყიდველი რეკლამაციის აქტს დანართის სახით მიაკრავს თავის განმარტებას მიმწოდებლის წარმომადგენლის განსაკუთრებული მოსაზრების თაობაზე.
11. მიმწოდებლის მიზეზით დაშვებული და რეკლამაციის აქტში (მათ შორის, რომელიც შედგენილია მიმწოდებლის წარმომადგენლის გარეშე) ნაჩვენები დეფექტები, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია დეპოს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შეიძლება აღმოიფხვრას ადგილზე მიმწოდებლის ძალებით, შემსყიდველის მონაწილეობის გარეშე. როგორც გამონაკლისი, დასაშვებია დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველის ძალებით მიმწოდებლის მიერ ხარჯების დაფარვით. იმ შემთვევაში, თუ დეპოს პირობებში შეუძლებელია შეკეთების განხორციელება, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მიმწოდებელს გადაეცემა შესაკეთებელი ობიექტი.
12. სარეკლამაციო ობიექტი მიმწოდებელს გადაეცემა მიღება-გადაცემის აქტით. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-გადაცემის აქტის/ცალმხრივი რეკლამაციის აქტის შედგენიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება და დაბრუნება საკუთარი ხარჯით. აგრეთვე მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ სარეკლამაციო აქტის და ანგარიშის წარდგენის საფუძველზე სარეკლამაციო კვანძების, დეტალების, მოწყობილობების და აგრეგატების მოხსნა-დაყენების ხარჯები, რომელიც დამტკიცებული იქნება აუდიტის მიერ.
13. სარეკლამაციო აქტში დაფიქსირებული დეფექტების გამო ელმავლის მოცდენის დღიდან, მიმწოდებელთან ქარხანაში ან შემსყიდველთან დეპოს პირობებში დეფექტების აღმოფხვრის დღემდე, მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია ყველა გადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული ელმავლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 5%-სა.
14. ელმავლის მოცდენის ათვლა აღირიცხება რემონტისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (საგარანტიო პირობების მე -12 პუნქტის შესაბამისად).
15. ელმავლზე მიმწოდებლის ბრალეულობით წარმოქმნილი დეფექტის შემთხვევაში, საგარანტიო პერიოდი ხანგრძლივდება დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო დროით და მიწერის დეპოში ტრანსპორტირებისათვის გახარჯული დროით.
16. სარეკლამაციო ობიექტის გადაცემამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სარეკლამაციო ობიექტის უზრუნველყოფის გამოუთხოვადი საბანკო გარანტია რომელიც შეფასებული იქნება აუდიტის მიერ.
17. საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი დაზიანების/დეფექტის სადავო მიზეზის დადგენის მიზნით, შესაძლებელია შემსყიდველის მხრიდან მოწვეულ იქნას შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანო.

3. <u>წინადადების ფასი და მოწოდების პირობა:</u>

3.1 წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს **<u>ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული</u>** ყველა გადასახდელის გათვალისწინებით. წინადადების ფასი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე;

3.2 ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

3.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება წინადადების ფასის დღგ-ს შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.4 **<u>გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება აშშ დოლარში, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს</u>** ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული **ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად,** ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (რეზიდენტი პირების შემთხვევაში) მიღება-ჩაბარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული **ოფიციალური გაცვლითი კურსის** შესაბამისად. არარეზიდენტთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალუტაში;

3.5 წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;

3.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

3.7 პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, რომელიც შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;

3.8 საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს DDP პირობით. არარეზინდენტმა მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორიელოს DAP პირობით. ამასთან, დღგ-

სა და საბაჟო გადასახადებს, რომლებიც წარმოიქმნება საქონლის იმპორტის რეჟიმში საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია. ხსენებული საბაჟო გადასახადი (დღგ-ს თანხის გარდა), საბროკერო მომსახურების ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაიქვითება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხებიდან მხარეებს შორის ურთიერთანგარიშსწორებისას;

4. <u>მიწოდების ვადა და ადგილი:</u>

4.1 **მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში, კერძოდ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში - 5 ერთეული, ხოლო დარჩენილი 6 თვის ვადაში - ასევე 5 ერთეული (დაიშვება ეტაპობრივი მიწოდება);**ელმავლების მიწოდების ადგილები:** ქ.თბილისი, გუმათჰესის ქ. N89 (სადგურ თბილისი-მახარისხებელის სალოკომოტივო დეპო).

4.2 **მომსახურების გაწევის ვადა: თითოეულ ელმავალზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული თვე**

4.3 მომსახურების გაწევის ადგილები: სს საქართველოს რკინიგზის სარემონტო ბაზები (დეპოები)

5. <u>ანგარიშსწორების პირობები:</u>

5.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება კონსიგნაციით.

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, შემდეგი წესით:

- ფასების ცხრილის პირველი პოზიციით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებაზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

- ფასების ცხრილის მეორე პოზიციით გათვალისწინებული ყოველთვიური მომსახურების ანგარიშწორება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ, თითოეულ თვეზე ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.3 შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

5.4 ამასთან, დასაშვებია ანგარიშსწორება განსხვავებული პირობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ, სს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართავს და წარუდგენს წერილობითი ფორმით მოთხოვნას (დანართი N6) განსხვავებული პირობით ანგარიშსწორების შესახებ. განსხვავებული პირობით ანგარიშსწორება გულისხმობს შემდეგს:

- Y შემსყიდველი იტოვებს უფლებას ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან (იგულისხმება კომპანიის კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- Y მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით 10 000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები;
- Y ნაკლებ ვადაში (10 საბანკო დღე მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან) ანგარიშსორებისას მიმწოდებელს საკომისიოს სახით გაექვითება ანაზღაურების მოთხოვნით (მზადდება შემსყიდველის მიერ) განსაზღვრული გასაცემი თანხიდან მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ნაწილის 1,73% და აისახება კომპანიის სასარგებლო დამატებით შემოსავლად.

6. <u>პრეტენდენტის ან მისი სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოცდილება:</u>

6.1 ფასების ცხრილით შემოთავაზებულ მწარმოებელ საწარმოს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 (ხუთი) მაგისტრალური ელმავლის აშენებისა და რეალიზაციის გამოცდილება, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულებ(ები)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. წარმოდგენილი ხელშეკრულე(ბე)ბის ფარგლებში რეალიზებული ელმავლების აშენების თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2018 წლისა. ასევე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში გაცემული არანაკლებ ერთი დადებითი სარეკომენდაციო წერილი შესყიდვის ობიექტის ხარისხთან დაკავშირებით.

6.2 ფასების ცხრილით შემოთავაზებულ შემკეთებელ საწარმოს უნდა გააჩნდეს მაგისტრალური ელმავლების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების განხორციელების გამოცდილება, რომლებიც აშენებულია 2018 წლიდან , რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულებ(ები)ა და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. ასევე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული არანაკლებ ერთი დადებითი სარეკომენდაციო წერილი.

6.3 ფასების ცხრილით შემოთავაზებულ მწარმოებელ საწარმოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ან ატესტატი/დამღა ან სარკინიგზო ადმინისტრაციის მიერ გაცემული ატესტატი/დამღა მაგისტრალური ელმავლების წარმოებაზე/აშენებაზე უფლება ან ფასების ცხრილით შემოთავაზებული მწარმოებელი საწარმო დარეგისტრირებული უნდა იყოს თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს ერთიან რეესტრში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

შენიშვნა:
იმ შემთხვევაში თუ 6.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტ(ებ)ის მოქმედების ვადა ნაკლები იქნება მომსახურების განხორციელების ვადაზე (ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 კალენდარული თვე), მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება დაასრულოს განსაზღვრული დოკუმენტ(ებ)ის მოქმედების ვადის პერიოდში ან აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს ახალი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ელექტრონული პროცედურით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და რომელიც მოქმედი იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ წარმოადგენს ახალ დოკუმენტაციას შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება

7. სხვა მოთხოვნა:

7.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წინადადება;

7.2 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები, რეკვიზიტები და ა.შ.) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სავალდებულოა დამოწმებული/დადასტურებული იყოს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. ამასთანავე, ხელმოწერა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა).

7.3 „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნტქით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებლებზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება №24, 15.01.2021წ.)

7.4 დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი,“ „ანალოგი“ ან „ეკვივალენტური“;

7.5 წინადადება ძალაშია შემდეგი სტატუსების დადგომამდე: შესყიდვის ელექტონული პროცედურა დასრულებულია უარყოფითი შედეგით ან შეწყვეტილია ან დადებული ხელშეკრულება;

7.6 შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან;

7.7 პრეტენდენტმა, მის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში უნდა მიუთითოს ინფორმაცია შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის და მოდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. არ დაიშვება ფასების ცხრილში მითითება ერთზე მეტ მწარმოებელზე.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ, „წინადადების მიღება დასრულებულია“ ეტაპზე, შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის ან/და მწარმოებლის ან/და მოდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ სატენდერო წინადადების ფარგლებში ინფორმაციის წარმოუდგენლობა ან მიუთითებლობა მოდელის არ არსებობის შესახებ, ან შემოთავაზებულ საქონელზე გაცემულ დოკუმენტაციაში მოდელის მიუთითებლობა (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოდელად არ განიხილება მითითება შესყიდვის ობიექტის "ტიპის", "სახეობის" ან რაიმე სხვა ტერმინისა გარდა მოდელისა), ან ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა, ან ფასების ცხრილის განუფასებლად წარდგენა გამოიწვევს სატენდერო პროცედურებიდან პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას დაზუსტების მექანიზმის გამოყენების გარეშე. ასევე, პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემდგომ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის ან/და მწარმოებლის ან/და მოდელის ცვლილება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

7.8 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ, ან/და რუსულ, ან/და ინგლისურ ენაზე; დოკუმენტების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დოკუმენტთან დაკავშირებული სადავო საკითხ(ებ)ის გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ნოტრაიულად დამოწმებულ ქართულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია;

8.პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები :

8.1 მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 450 ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, **კოდი: TBCBGE22**, ანგარიშის **№ GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL;** ან შესაბამისი ექვივალენტი **აშშ დოლარში** ან **ევროში** (უცხოურ ვალუტაში გადახდის შემთხვევაში, საკომისიო თანხა გადახდილ უნდა იქნას გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) შემდეგ რეკვიზიტებზე:

აშშ დოლარისათვის/Для Долларов США
INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA;
SWIFT: CITIUS33
BENEFICIARY BANK JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch
SWIFT: TBCBGE22
№7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge
Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774
SWIFT: TBCBGE22850
BEN'S Account: GE11TB1100000112070112
NAME OF BENEFICIARY: "GEORGIAN RAILWAY" JSC

ევროსათვის/Для Евро:
INTERMEDIARY: DEUTSCHE BANK A.G.
FRANKFURT/MAIN, GERMANY
SWIFT: DEUTDEFF. **BLZ**: 50070010
BENEFICIARY BANK -"JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch
SWIFT: TBCBGE22
№7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge
Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774
SWIFT: TBCBGE22850
BEN "S Account: Account № GE11TB1100000112070112 EUR
BENEFICIARY: „Georgian Railway" JSC

8.2 შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 5%-ის (**9 192 484,50 ლარი)** ოდენობით, ხოლო აღნიშნული საბანკო გარანტიის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენის შემთხვევაში, საგარანტიო თანხა წარმოდგენილ უნდა იქნეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის გამოცხადების დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზიდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) მიერ გაცემული წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია რომელ(ებ)იც უნდა იქნეს დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 კალენდარული დღე წინადადების მიღების დაწყების დღიდან **(დანართი #3-ის შესაბამისად, არსებითი პირობების დაცვით).**

8.3 ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად, შენიშვნისა და დანართი N9_ის გათვალისწინებით;

8.4 პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №2-ის შესაბამისად;

8.5 ინფორმაცია სასურველი ფორმით ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შესახებ (მუხლი 10);

8.6 შემოთავაზებული საქონლის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო;

8.7 გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (პუნქტი 6);

8.8 სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორს შორის გაფორმებული სამართლებრივი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

8.9 ფასების ცხრილის პირველი და მეორე პოზიციით შემოთავაზებული საწარმო(ები)ს საგარანტიო წერილ(ებ)ი, რომლის შესაბამისად საწარმო იღებს შესყიდვის ობიექტის (საქონელი/მომსახურება) პრეტენდენტისთვის მიწოდების ვალდებულებას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით (სს „საქართველოს რკინიგზისათვის" განკუთვნილი შესყიდვის ობიექტის: ფასების ცხრილის პირველ პოზიციით განსაზღვრულ საქონელზე - რაოდენობის, მიწოდების ვადის, ხელმომწერის თანამდებობის, სახელისა და გვარის მითითებით; ფასების ცხრილის მეორე პოზიციით განსაზღვრულ მომსახურებაზე - მომსახურების გაწევის ვადის, ხელმომწერის თანამდებობის, სახელისა და გვარის მითითებით).

8.10 შემოთავაზებულ საქონელზე გაცემული "НБ ЖТ ЦТ 04-1998" ან "ТР ТС 001/2011"-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი («უსაფრთხოების ნორმები სარკინიგზო ტრანსპორტზე. ელმავლები. სერტიფიცირების მოთხოვნები» ან საბაჟო კავშირის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა); რომელიც გაცემული უნდა იყოს თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს რეესტრით გათვალისწინებული აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ;

8.11 შემოთავაზებული ელმავლის ტექნიკური პირობის სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N9-ში გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც გაცემული უნდა იყოს სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ;

8.12 8.11პუნქტით განსაზღვრული დასკვნის გამცემი და ასევე საცდელი გარბენის ჩატარებაში ჩართულ აკრედიტირებულ ორგანოზე გაცემული აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:

ა) სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ელმავლის ტექნიკური მონაცემების დადგენის, ლაბორატორიული გამოცდების/კვლევების ჩატარების უფლებამოსილება).

ბ) მოძრაობის ინსტრუქციის შედგენის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: არანაკლებ ერთი სარკინიგზო ადმინისტრაციის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება აკრედიტირებული ორგანოს მიერ შემუშავებული ინსტრუქციით არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ოპერირების ფაქტი.

8.13. შემოთავაზებული მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (30 კალენდარული თვის განმავლობაში)

<u>შენიშვნა:</u>

1. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი,ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები, რეკვიზიტები და ა.შ.) ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სავალდებულოა დამოწმებული/დადასტურებული იყოს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. ამასთანავე, ხელმოწერა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა).

2. ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნტქით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად" რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებლებზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება №24, 15.01.2021წ.)

<u>**9. შემსყიდველ ორგანიზაციაში დედნის სახით (ხელზე) წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**</u>

9.1 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების მიღების დამთავრებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველ ორგანიზაციაში (მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15, სს ,,საქართველოს რკინიგზის" კანცელარია) წარმოადგინოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტია (პუნქტი 7.2);

9.2 დაკორექტირებული ფასების ცხრილი აშშ დოლარში, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად;

9.3 შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად არაუმეტეს 24 სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ დედნისსახით წარმოსადგენი დოკუმენტების ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

<u>**10. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი:**</u>

10.1 საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების გარანტია: გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს უპირობო, გამოუთხოვადი, **გარანტია (აშშ დოლარში), სახელშეკრულებო თანხის (დღგ-ს ჩათვლით) 5% ოდენობით,** მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზინდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია რომელ(ებ)იც უნდა იქნეს დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა 50 (ორმოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას (**დანართი N4**);

10.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში

- გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იღებს ვალდებულებას, შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე, უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო გადარიცხვის გზით, განათავსოს თანხა ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) 5 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიერ გადმორიცხვის ოპერაციის დასრულების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით;
- საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL, ხოლო არარეზიდენტმა პირმა აშშ დოლარში შემდეგ ანგარიშზე INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA; SWIFT: CITIUS33 BENEFICIARY BANK JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch SWIFT: TBCBGE22 №7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774 SWIFT: TBCBGE22850 BEN'S Account: GE11TB1100000112070112 NAME OF BENEFICIARY: "GEORGIAN RAILWAY" JSC.
- **საგარანტიო თანხის ჩარიცხვის პირობები მოცემულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლში**

<u>**11. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად:**</u>

11.1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

11.2 ცნობა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

- აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს წინამდებარე შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების მიღების დაწყების თარიღის შემდეგ; არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გაცემული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის ან/და ლიკვიდაციის ან/და გადახდისუუნარობის (რომ იურიუდიული პირის ქონებაზე არ ფიქსირდება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღა, უფლების განკარგვის შეზღუდვა ან/და აკრძალვა) საქმის წარმოების შემთხვევაში კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს პრეტენდენტი ტვირთავს სისტემის შესაბამის ველში;

12. ინფორმაცია ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეთათვის:

12.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება, წინადადების მიღების ვადის დაწყების ეტაპიდან წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე;

12.2 დაინტერესებულმა პირმა, შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს აფიდავიტის ტექსტზე დათანხმება და შემდგომ გადაიხადოს ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობის საფასური (50 ლარი) ელექტრონულად (სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად);

12.3 ზემოაღნიშნული 12.1 და 12.2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების შემდგომ პრეტენდენტი ვალდებულია ატვირთოს (**მხოლოდ სისტემის მეშვეობით) ამავე დოკუმენტაციით მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ასატვირთი დოკუმენტები;**

12.4 ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვის შემდგომ პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები;

12.5 წინამდებარე ელექტრონული პროცედურის უცხოურენოვან და ქართულენოვან დოკუმენტებს შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ დოკუმენტს.

საკონტაქტო პირები:

სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი:
გიორგი გურგენიძე ტელ: (995 32) 219-90-14, ელ_ფოსტა: Giorgi.Gurgenidze@railway.ge;

მთავარი სპეციალისტი: ელენა მურადოვა ტელ: (995 32) 219-98-27; 593-14-47-21
მთავარი სპეციალისტი: კახა ბერძენიშვილი ტელ: (995 32) 219-97-75; 595-99-35-82
მთავარი სპეციალისტი: მედეა ყანჩაველი ტელ: (995 32) 219-91-04; 558-99-85-66
მთავარი სპეციალისტი ეთერ ტეტუნაშვილი: ტელ: (995 32) 219-91-73; 577-03-93-63

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დაუკავშირდით ლევან კობერიძეს ტელ: 577-01-36-06; 19-03-02

დანართი №2

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ.	

** აღნიშნული დანართი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.*

დანართი №3

ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია#
#
ვითვალისწინებთ რა, რომ _____#
(პირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)#

(შემდგომში "პრეტენდენტი") მზად არის წარმოადგინოს თავისი წინადადება _____ კომისიის მიერ _____ შესყიდვაზე
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება) (საქონლის დასახელება)#

გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენ _____(შემდგომში "ბანკი")#
(ბანკის დასახელება)#

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

#
ვიღებთ ვალდებულებას სს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს (შემდგომში "შემსყიდველი") წინაშე, რომლის მიხედვითაც#
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის _____ გადახდას
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

შემდეგ შემთხვევებში:#

1. თუ წინადადების წარდგენის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობაზე, თავისი წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;#
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან, სს „საქართველოს რკინიგზისა" და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის" საფუძველზე, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;#
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;#
4. თუ პრეტენდენტმა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში არ წარმოადგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ან **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე არ განათავსა თანხა.**#
#

გარანტია ძალაში რჩება _____მდე* . #
(თარიღი) #

#_____

****გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 დღე ელექტრონულ პროცედურაში წინადადების მიღების დაწყების დღიდან;***

საბანკო დაწესებულება უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.#

_____
(ხელმოწერა)#

_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)#

#

დამოწმებულია ბანკის ბეჭდით _____ _____ 2023__ წ.

დანართი №4

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(გარანტია)

ნიმუში#

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)#

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____

(მიმწოდებლის დასახელება)#

შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ელექტრონულ პროცედურაში წარდგენილი თავისი#

(დასახელება)#

წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელზე ზემოთ აღნიშნული **(საბანკო)** გარანტია.#

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელით საერთო თანხაზე _____ აშშ დოლარი და ვკისრულობთ ზემო

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)#

აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის (მიმწოდებლის) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპიალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი თხოვნა ან პრეტენზია, წარმოდგენულ უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე _____*(ბანკის დასახელება/ფილიალი, მისამართი)*_____.

გარანტია ავტომატურად უქმდება

- … გარანტიის ვადის გასვლით.
- … ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი#

***წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა 50 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას.**

დანართი №5

ხელშეკრულება საქონლის/თანმდევი მომსახურების შესყიდვის შესახებ #

შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს პროექტს, რომელიც ექვემდებარება მოდიფიკაციას ელექტრონულ პროცედურაში მითითებული პირობების შესაბამისად.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ----- ---------- 20 ---- წ.

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი ---------- დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ---------- წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ---------- (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2023 წლის ---------- გამოცხადდა და ---------- დასრულდა წინადადებების მიღება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაზე **(GEO----------) ---------- ---------- შესყიდვის შესახებ**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიაწოდოს შემსყიდველს დანართით ----------) გათვალისწინებული მახასიათებლების და ამ მახასიათებლების მიხედვით შესაბამისი რაოდენობის საქონელი **(შემდგომში _ საქონელი)** თანმდევი მომსახურებით.

ტექნიკური დოკუმენტაციის ----------პუნქტის ---------- ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ---------- (შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ვაჭრობის დღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD ---------- ლარი) მიხედვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს _ ---------- აშშ დოლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით ---------- აშშ დოლარს (შემდგომში _ ხელშეკრულების ღირებულება).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ----------;

გ) ხელშეკრულების შესრულების გარანტია გაცემული სს „-----" მიერ ---------- წელს.

დ) ამონაწერი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემიდან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ;

ე) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდიდან ამონაწერი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის შესახებ;

ზ) ხელშეკრულების საერთო პირობები;

თ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ნაკისრი ვალდებულებები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სს ,,საქართველოს რკინიგზა"	----------
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15	მისამართი
ს/კ 202886010	ს/კ ----------
სს ,,საქართველოს ბანკი"	სს "---------- ბანკი"
ა/ა GE09BG0000000128695301	ბანკის კოდი
ბანკის კოდი: BAGAGE22	ანგარიშის #
	ტ:
----------	----------
---------- დირექტორი	დირექტორი

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციისა და საქონლის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **საქონლის** შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომ ღებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის /თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული/;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მოწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შეფუთვა

5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ ზემოქმედებას, გადატვირთვის დროს ექსტრემალური ტემპერატურის, მარილების და ნალექის ზემოქმედებას, ასევე ღია ცის ქვეშ შენახვას.

5.2 შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთის გაბარიტები და წონა, მისი მარკირება და თანმხლები დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნის შესახებ მოყვნილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

6.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საქონლის გადატვირთვისას მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7. დაზღვევა *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

8. თანმდევი მომსახურება

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

8.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

9. სათადარიგო ნაწილები

9.1 შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მის მიერ წარმოებული ან სარეალიზაციო სათადარიგო ნაწილების შესახებ შემდეგი ინფორმაციის

წარმოდგენა:

(ა) იმ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურა და ღირებულება, რომლებიც შემსყიდველმა შეიძლება შეისყიდოს მიმწოდებლისაგან, რათა გამოიყენოს ისინი საგარანტიო ვადის დასრულების შემდეგ;

(ბ) მიმწოდებლის მიერ სათადარიგო ნაწილების წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში:

1. წინასწარ უნდა აცნობოს შემსყიდველს, წარმოების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, რათა მისცეს მას საშუალება განახორციელოს აუცილებელი შესყიდვები, საჭირო რაოდენობით;

2. აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოების შეწყვეტის შემდგომ, უფასოდ მიაწოდოს შემსყიდველს სათადარიგო ნაწილების გეგმები, ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

10.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

11.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

12.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

13. ანგარიშსწორების ვალუტა

13.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).*

13.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

14. ფასები

14.1 შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობისას მითითებულ ფასებს.

14.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

14.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. უფლებების გადაცემა

16.1 დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა,

გაყოფა და სხვა).

17. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

17.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

17.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

18. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

18.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

18.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

18.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

19. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

19.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

19.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

20. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

20.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

20.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

20.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

21. ფორს-მაჟორი

21.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

21.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

21.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

22. სადაო საკითხების გადაწყვეტა

22.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

22.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

23. გამოყენებული სამართალი

23.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

23. ხელშეკრულების ენა

23.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

25. შეტყობინება

25.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

25.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

26. გადასახადები და დაბეგვრა

26.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

26.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები#

ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს შეიმუშავებს შემსყიდველი ორგანიზაცია. მისი შედგენის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო პირობები და შემსყიდველის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მოწოდება. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიზანია ყოველი შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების კონკრეტიზაცია, ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება და დაზუსტება. ხელშეკრულების სპეციფიკურ და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.#

41 ხელშეკრულების დამდები მხარეები#

ხელშეკრულების მხარეები არიან: #

შემსყიდველი _ სს ,,საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი ---------- დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15.#

მიმწოდებელი _ ----------, წარმოდგენილი მისი ----------სახით, მისამართი: ქ. თბილისი, ----------

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი #

2.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

#

3. საქონლის/თანმდევი მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

3.1 საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის მოხდება DDP პირობით.

3.2 პროდუქციის/მომსახურების მიმღებია: სს „საქართველოს რკინიგზა".

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის და თანმდევი მომსახურების მოწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- ----------. დაიშვება ეტაპობრივი მოწოდება.

3.4 მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ----------

3.5 საქონელს თან უნდა ახლდეს სასაქონლო ზედდებული, ----------

3.6 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის გადმოტვირთულ საქონელზე, მის რაოდენობაზე, ადგილზე, წონაზე მონაცემების მიწოდება საქონლის გადმოტვირთვიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

3.7 ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა: ----------

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

4.1.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ----------

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს სასაქონლო ზედდებული და ---------- ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ოთხ ეგზემპლიარად, რომლის სამი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი და თანმდევი მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის უხარისხობით გამოწვეული ზიანი.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია შესყიდვის ობიექტის ხარისხისა და რაოდენობის თაობაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს წარდგენილი პრეტენზია და ჩაანაცვლოს დეფექტური საქონელი საკუთარი სახსრებით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაცია.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

ამასთან, დასაშვებია ანგარიშსწორება განსხვავებული პირობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ, სს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართავს და წარუდგენს წერილობითი ფორმით მოთხოვნას (დანართი N6) განსხვავებული პირობით ანგარიშსწორების შესახებ. განსხვავებული პირობით ანგარიშსწორება გულისხმობს შემდეგს:

- Y შემსყიდველი იტოვებს უფლებას ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან (იგულისხმება კომპანიის კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- Y მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით 10 000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები;
- Y ნაკლებ ვადაში (10 საბანკო დღე მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან) ანგარიშსორებისას მიმწოდებელს საკომისიოს სახით გაექვითება ანაზღაურების მოთხოვნით (მზადდება შემსყიდველის მიერ) განსაზღვრული გასაცემი თანხიდან მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ნაწილის 1,73% და აისახება კომპანიის სასარგებლო დამატებით შემოსავლად.

6.4. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტებია:

_ მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);

_ სასაქონლო ზედდებული;

_ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.5. შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი:
[საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში]
ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოსშემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) 5 %-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილ უნდა იყოს აშშ დოლარში და რომლის მოქმედების ვადაც 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს 3.3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.3 პუნქტით დადგენილ ვადაში სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

7.3 მიმწოდებლის მიერ ან მისი მიზეზით ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე თუ შემსყიდველს შეუძლია ივარაუდოს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულება არ/ვერ შესრულდება, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და გამოიყენებს უპირობოდ.

[ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „შემსყიდველის“ შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში]

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე განათავსოს თანხა ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) 5 %-ის ოდენობით (შემდგომში „უზრუნველყოფის თანხა“), რომელიც გაანგარიშებულ იქნება ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიერ გადმორიცხვის ოპერაციის დასრულების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

7.2 „უზრუნველყოფის თანხის“ განთავსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემსყიდველის შემდეგ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით:

ს/ს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL, ხოლო არარეზიდენტმა პირმა აშშ დოლარში შემდეგ ანგარიშზე INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA; SWIFT: CITIUS33 BENEFICIARY BANK JSC “TBC Bank” Head Office and Marjanishvili Branch SWIFT: TBCBGE22 №7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774 SWIFT: TBCBGE22850 BEN'S Account: GE11TB1100000112070112 NAME OF BENEFICIARY: “GEORGIAN RAILWAY” JSC.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.3 პუნქტით დადგენილ ვადაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი უნაღდო ანგარიშწორების გზით, მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მიმწოდებლის წერილობითი მომართვის დღიდან (იგულისხმება სს „საქართველოს რკინიგზის კანცელარიაში მომართვის რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში, დაუბრუნებს მიმწოდებელს „უზრუნველყოფის თანხას“ ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის (უკან დაბრუნების) დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

7.4 „მიმწოდებლის“ მიერ ან მისი მიზეზით წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე თუ შემსყიდველს შეუძლია ივარაუდოს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულება არ/ვერ შესრულდება, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს „უზრუნველყოფის თანხას“ და გამოიყენებს უპირობოდ.

8. პირგასამტეხლო [საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში]

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია და დამატებით, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო იქნა გამოყენებული. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია 7.3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების საფუძველზე იქნა გამოყენებული, მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გაანგარიშება განხორციელდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად და შემსყიდველის მხრიდან გაქვითულ იქნება მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხ(ებ)იდან.

8. პირგასამტეხლო [ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „შემსყიდველის“ შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში]

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის თანხა .ამასთან, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის თანხა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო იქნა გამოყენებული. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის თანხა 7.4 პუნქტით გათვალისწინებული

სხვა წინაპირობების საფუძველზე იქნა გამოყენებული, მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გაანგარიშება განხორციელდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად და შემსყიდველის მხრიდან გაქვითულ იქნება მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხ(ებ)იდან.

დანართიN6

ფორმა # 1

სს "საქართველოს რკინიგზა"-ს ფინანსურ დირექტორს

მიმწოდებლის დასახელება	ხელშეკრულების ნომერი #	გასაცემი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით, რომელიც უნდა ჩაერიცხოს ანგარიშწორების ვადაზე ადრე
1	2	3

შენიშვნა: ივსება მომწოდებლის მიერ

ხელმოწერა

თარიღი

გასაცემი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით, რომელიც ჩაერიცხა მომწოდებელს ვადაზე ადრე	გასაქვითი თანხის 1,73% ოდენობა	ანაზღაურების მოთხოვნის #
1	2	3

შენიშვნა: ივსება ხაზინის სამსახურის მიერ

ხელმოწერა

თარიღი